პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

---თებერვალი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის, საქართველოს სახალხო არტისტის, მუსიკოსის, ომარ კელაპტრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, მუსიკოსის, ომარ კელაპტრიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


01.14.01.007.354
01.14.22.007.091
01.14.01.007.324
01.14.01.007.355
01.14.22.007.091
01.14.01.002.001
01.14.01.007.341
01.14.01.007
01.00.287
01.00.318
ელიზბარ მინდელის ქუჩა
01.01.834
01.00.011
01.00.287
01.00.011
01.00.011
01.14.05.007.007
01.14.05.007.003
01.14.05.007.002
01.14.05.007.273
01.14.05.007.036
01.14.05.007.035
01.00.216
01.00.287
01.00.287
01.00.216
01.14.05.007.003
44.716238, 41.725829

19/032332512 2-03.

„RUSTAVI“

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს!

ლეგენდარული მუსიკოსის, მსოფლიოში აღიარებული ვირტუოზი შემსრულებლის, სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელის და უცვლელი სოლისტის, საქართველოს სახალხო არტისტის ომარ კელაპტრიშვილის მოღვაწეობა სრულიად ახალი სიტყვა იყო ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორში. იგი გახდა ახალი ეპოქის შემქმნელი და დამამკვიდრებელი ხალხურ ინსტრუმენტალურ ხელოვნებაში, მან პირველმა საქართველოს ისტორიაში უძველესი ხალხური საკრავები აიყვანა უმაღლეს საშემსრულებლო დონეზე და მთელს მსოფლიოს გააცნო და შეაყვარა ჩვენი ქვეყანა.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა ამაგდარი ხელოვანის ღვაწლი ერის წინაშე... მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოში დაიდგა მუსიკოსის 3 ბიუსტი, დაარსდა მისი სახელობის ქუჩები, სახლ-მუზეუმი, მუსიკოსის სახელი მიენიჭა სკოლებს, კულტურის ცენტრს. 2003 წელს ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტლის, მე-3 კორპუსის მიმდებარედ, სადაც ცხოვრობდა ომარ კელაპტრიშვილი, ქართველი საზოგადოებისა და ანსამბლ „რუსთავის“ თხოვნით გაკეთდა სკვერი, დაიდგა ხელოვანის ბიუსტი. 20 წლის შემდეგ გავარკვიეთ, რომ სკვერის სახელწოდება, სახელის მინიჭების ოფიციალური დადგენილება არ მოიძებნა, ვფიქრობ, გამორჩათ...

მოგმართავთ თხოვნით, გამოასწოროთ ეს ხარვეზი და აღნიშნულ სკვერს მიანიჭოთ ომარ კელაპტრიშვილის სახელი.

პატივისცემით,

ნათელა კელაპტრიშვილი, ომარ კელაპტრიშვილის მეუღლე

18.11.2023 წ. პირადი ნომერი 01008039563

ტელ: 577 925 559

ომარ კელაპტრიშვილი

(1943-1992)

ქართველი მუსიკოსი. საქართველოს სახალხო არტისტი

ომარ კელაპტრიშვილი დაიბადა 1943 წლის 1 იანვარს დღევანდელი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში. 1964 წელს დაამთავრა სერგო ზაქარიაძის სახელობის თბილისის კულტურულ–საგანმანათლებლო სასწავლებელი. 1971–1972 წლებში სწავლობდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, პირველი ადგილისა და ოქროს მედლის მფლობელი.

მისი სახელი მინიჭებული აქვს კავთისხევის საჯარო სკოლას. თბილისში, საცხოვრებელ სახლზე გაკრულია მემორიალური დაფა. მისი ბიუსტი ასევე აღმართულია კასპის კულტურის ცენტრის ტერიტორიაზე.